ხელშეკრულებაN 33
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(საქონლის შესყიდვა)

8 აპრილი 2017 წელი

ერთის მხრივ გორის. #6. საჯარო სკოლა (შემდგომში------შემსყიდველი) მისი დირექტორის მარიამ ნუცუბიძის__სახით და, მეორეს მხრივ ი.მ. გია მერებაშვილი (შემდგომში მიმწოდებელი) გია მერებაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანი „მიმწოდებლის" მიერ დამკვეთისათვის
მიაწოდოს : სპორტული ინვენტარი:

1.2 შესყიდვა განხორციელდება ერთ პირთან მოლაპარაკებით.

II. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია. : სპორტული ინვენტარი: CPV- 37400000

III. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში. სულ 202 (ორასორი) ლარი .

IV. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

V. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 20(ოც) კალენდარული დღის განმავლობაში.
5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: გორის #6 საჯარო სკოლა
5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები).

VI. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

VII . ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 მიმწოდებელთა ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).
7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით .
7.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათ)საბანკო დღის ვადაში.
7.4 ანაზღაურების ადგილია საქართველოს რესპუბლიკა გორის #6 საჯარო სკოლა.

VIII. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
8.2 შემსყიდველი ვალდებულია :
მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება .
8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს :
მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით
გათვალისწინებული პირობებით.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის.

IX. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ(დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა).თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა. მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ,რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგა საგამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების ოდენობით.

X. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 1 ივნისამდე.

XI. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ,მათ შორის , ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების პირობები ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

XII. ფორს-მაჟორი

12.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა,ხანძარი ,მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები ,თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს,მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება,კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

XIII. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

XIV.ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება,რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შესყიდვების კოორდინატორი.
14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

XV. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები ,მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით,ხარჯებითა და რისკით.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, ქართულ ენაზე.რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ ,რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

XVI . მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

სსიპ გორის #6 საჯარო სკოლა

შემსყიდველი:

გორის # 6 საჯარო სკოლა,რუსთაველის 24
ს/კ 218016723
თიბისი ბანკი TBCBGE22
ანგ#GE04TB7420736020100007

დირექტორი /მ.ნუცუბიძე/

მიმწოდებელი:

ი.მ. გია მერებაშვილი, გორი, ჭავჭავაძის ქ.#5ა
ს/კ 59001017564
ვითიბი ბანკი, UGEBGE22
ანგ #GE38VT0200000049733602

/გ.მერებაშვილი/

დანართი №1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია შემდეგი სპოტრული საქონელი.

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	ბურთი ხელბურთის	ცალი	2	25	50
2	ბურთი ბადმინტონის	ცალი	1	12	12
3	წამზომი	ცალი	1	15	15
4	ბურთი ფრენბურთის	ცალი	1	40	40
5	ჰულაჰუპი	ცალი	4	5	20
6	ჩოგბურთის ჩოგანი	ცალი	2	15	30
7	ბურთი პინგ-პონგის	ცალი	10	0,50	5
8	კეგლი	კომპლექტი	2	15	30
სულ ღირებულება					202 ლარი

მიღება-ჩაბარების აქტი

11 აპრილი 2017 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი ,ერთის მხრივ სსიპ ქალაქ გორის N6 საჯარო სკოლის დირექტორი--მ.ნუცუბიძე(შემდგომში ,,შემსყიდველი'') და მეორეს ი.მ.გია მერებაშვილი (შემდგომში-,,მიმწოდებელი'') ვადასტურებთ,რომ მყიდველმა ჩაიბარა გამყიდველისაგან 2017 წლის 8 აპრილს დადებული #33 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი 202 ლარის ღირებულებით.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

შემსყიდველი
/მ.ნუცუბიძე/

მ. ნუცუბიძე

მიმწოდებელი
/გ.მერებაშვილი/